დამოუკიდებელი პრაქტიკოსის დასკვნა

შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმი“

კლუბის მიერ მიღებული დაფინანსებისა და გაწეული დანახარჯების შესახებ

2026 წლის 1 იანვრიდან
2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით
პერიოდისათვის

DRAFT

Moore Abc, LLC
2, Davit Gamrekeli Str,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი პრაქტიკოსის დასკვნა

ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდს
შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმის"-ს მენეჯმენტს

1. *განსახილველი საკითხი და მისი შეფასების კრიტერიუმები*

შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმი"-ს (შემდგომში „კლუბი") მენეჯმენტის თხოვნით ჩვენ განვახორციელეთ მარწმუნებელი გარიგება, რომელიც გულისხმობს მიღებული დაფინანსების ფარგლებში (შემდგომში „მოზიდული თანხები") გაწეული დანახარჯების შესაბამისობის დადასტურებას ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის, №50-ე ოქმით (შემდგომში „ოქმი") განსაზღვრულ ფინანსური სტიმულირების დაფინანსების პირობებთან.

ოქმის მიხედვით მოზიდული თანხა გახარჯული უნდა იყოს კლუბის ადმინისტრირების ხარჯისთვის, რომელიც წარმოშობილია 2026 წლიდან, კერძოდ:

- გუნდის ადმინისტრირება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება (იგულისხმება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასი და არ მოიცავს ე. წ. „პადიომს"). პრემიის ან/და სახელფასო დანამატის გაცემის საკითხი, ექვემდებარება „ფონდთან" წინასწარ წერილობით შეთანხმებას;
- მივლინება (ქვეყნის შიგნით), მივლინება (ქვეყნის გარეთ), ოფისის ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, კვების ხარჯი, სამედიცინო ხარჯი, რბილი ინვენტარის, ეკიპირების, სტადიონის ინვენტარისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი, ბანკის მომსახურების საკომისიო, ფედერაციის და ლიცენზირების ხარჯი, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი, მატჩის ორგანიზების ხარჯი, იჯარა (საცხოვრებელი ან/და საოფისე ფართის ქირავნობის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), სარემონტო სამუშაოები, სარეკლამო ხარჯი (ექვემდებარება ფონდთან წინასწარ წერილობით შეთანხმებას).
- ინფრასტრუქტურა;

DRAFT

მოცემული ანგარიში (შემდგომში „ანგარიში") მოიცავს კლუბის მიერ მიღებული დაფინანსებისა და ეროვნულ ლიგა 3-ში მოასპარეზე გუნდისათვის გაწეული იმ დანახარჯების დაფარვის შემოწმებას, რომელიც საკასო მეთოდის შესაბამისად წამოიშვა 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით პერიოდისათვის.

2. *განსახილველი საკითხის შეფასებასთან დაკავშირებული თანმდევი შეზღუდვების აღწერა*

ამ ნაწილში აღვნიშნავთ განსახილველი საკითხის შეფასებასთან დაკავშირებულ იმ თანმდევ შეზღუდვებს, რომლებიც ჩვენი აზრით გათვალისწინებული უნდა იქნას დასკვნის მკითხველის მიერ. ჩვენ ამ გარიგების შესრულებისათვის კლუბმა დაგვიქირავა 2026 წლის 8 სექტემბერს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია რაიმე სახის არქიტექტურული, ტექნიკური, ან საინჟინრო ინსპექტირება ან ანალიზი, რამდენადაც ეს არ შედიოდა ჩვენი სამუშაოს მასშტაბში.

კლუბის განცხადებით, 2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით საკუთარი შემოსავლებიდან, 2025 წლის 31 დეკემბერს არსებული ვალდებულებების დაფარვას ადგილი არ ჰქონია.

ამ გარიგების ფარგლებში კლუბმა წარმოადგინა ანგარიშგება, რომელიც ეფუძნება კლუბის საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული თანხის ჩარიცხვის და გახარჯვის ოპერაციებს. კლუბი აღნიშნულ ანგარიშგებას წარადგენს შემდეგი დაშვებით: ფონდში წარდგენილი ანგარიშების მიხედვით დგინდება ფონდის დაფინანსებიდან გაწეული ხარჯები, შემდეგ იხარჯება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული უეფას თანხები და სხვა შემოსავლის თანხები, ხოლო ამის შემდეგ იხარჯება კლუბში ინვესტირებული თანხები.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი პრაქტიკოსის დასკვნა *(გაგრძელება)*

3. *მენეჯმენტის პასუხისმგებლობა*

კლუბის მენეჯმენტი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ხელშეკრულებით აღებული უფლებები და მოვალეობები, მ.შ. განსაკუთრებული პირობები დაცული და შესრულებულია შესაბამის ვადებში და შესაბამისი წესით.
ამ გარიგების ფარგლებში ჩვენთვის მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის და ახსნა-განმარტებების ობიექტურობაზე, მიუკერძოებლობაზე, დასაბუთებულობაზე და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შესაფერისი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოებასა და შენახვას. ამ გარიგების ფარგლებში ჩვენთვის წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისწორეზე, დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე და მათი ასლების შესაბამისობაზე ორიგინალებთან აგრეთვე პასუხისმგებელია კლუბის ხელმძღვანელობა.

4. *პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა*

ჩვენი პასუხისმგებლობაა გამოვხატოთ მოსაზრება განსახილველი საკითხის შესახებ. ჩვენი სამუშაოები ჩატარდა მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 3000 (გადასინჯული)-ის (მგსს 3000 გადასინჯული), „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“ შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეხება ისეთ მარწმუნებელ გარიგებებს, რომლებიც არ წარმოადგენს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების ან გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციის აუდიტს ან მიმოხილვას. სტანდარტი ჩვენგან მოითხოვს გარიგების დაგეგმვას ისეთნაირად, რომ იგი ჩატარდეს ეფექტურად. სტანდარტი აგრეთვე მოითხოვს განსახილველი საკითხის გასაზომად შერჩეული კრიტერიუმების შესაბამისობის შეფასებას. სტანდარტი ჩვენგან მოითხოვს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომ მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, იმისათვის რათა გამოვხატოთ ჩვენი დასაბუთებული რწმუნება განსახილველ საკითხზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს– „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალურობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

DRAFT

5. *შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა*

გარიგების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

I. მოვიპოვეთ კლუბის მიერ მომზადებული მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეული დანახარჯების ანგარიში 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 4 სექტემბერს დასრულებული პერიოდისათვის ***(იხილეთ დანართი N1)***.

II. მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია (შემოწირულობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები, შრომითი ხელშეკრულებები, საბანკო ამონაწერები და სხვა), რომელიც საფუძვლად დაედო ანგარიშგებას 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით პერიოდისათვის.

III. მოვიპოვეთ ახსნა-განმარტებები მენეჯმენტისაგან ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

IV. პირველადი დოკუმენტაცია შევუდარეთ ანგარიშგებაში ასახულ თანხებს.

V. მოვიპოვეთ საწყისი ვალდებულების ნაშთი.

VI. მივიღეთ და გავაანალიზეთ **შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმი”**-ს 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით პერიოდზე სახაზინო ამონაწერები: GE96TB7110136020100010GEL, GE53TB7110136020100008GEL, GE11TB7110136120100004EUR.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები და მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი დასაბუთებული რწმუნება ანგარიშის პირველ პუნქტში აღნიშნულ საკითხზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

6. ***მოსაზრება განსახილველ საკითხზე***

ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით იმ კრიტერიუმების შესაბამისად რაც აღწერილია ზევით, წინამდებარე დასკვნის პირველ პუნქტში და იმ შემზღუდავი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც აღწერილია წინამდებარე დასკვნის მეორე პუნქტში, 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით, კლუბში ინვესტირებული სახსრებიდან გაწეულმა ხარჯებმა, შეადგინა (155,632) ლარი.

გარდა ამისა, (9,750) ლარის ოდენობით ანაზღაურებულია ხარჯები, რომლებიც ფონდის მხრიდან არ ექვემდებარება ანაზღაურებას (საკურსო სხვაობა, ჯარიმა და საწყისი ნაშთიდან გაწეული ხარჯები).

7. ***სხვა საკითხი***

პრაქტიკოსის დასკვნა მომზადებულია მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის მგსს 3000 (გადასინჯული) მოთხოვნების შესაბამისად. ამ სტანდარტში ტერმინი „აუდიტორი" მოხსენიებულია როგორც "პრაქტიკოსი", შესაბამისად ამ გარიგების მიზნებისთვის ტერმინი „აუდიტორის დასკვნა“ ჩანაცვლებულია ტერმინით „პრაქტიკოსის დასკვნა“, ხოლო ტერმინი „აუდიტორი“ ჩანაცვლებულია ტერმინით „პრაქტიკოსი“, რაც შინაარსობრივად არ ცვლის დასკვნის არსს.

8. ***ანგარიშის გამოყენების შეზღუდვა***

წარმოდგენილი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ ააიპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-სა და შპს „საფეხბურთო კლუბი ბათუმი”-სთვის. ის გამიზნულია მხოლოდ ამავე ანგარიშის პირველ აბზაცში აღწერილი განსახილველი საკითხის შესახებ ჩვენი მოსაზრების წარმოდგენისათვის და არ შეიძლება მისი სხვა მიზნით გამოყენება ან სხვა მხარეებისთვის გადაცემა ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

DRAFT

სოფიო აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი / პრაქტიკოსი

სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-320544 (შპს „მოორ ეიბისი“)
სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-417263 (სოფიო აბაიაძე)

30 სექტემბერი, 2026
თბილისი, საქართველო

დანართი 1

N	დასახელება	ინვესტიცია	ფონდის დაფინანსება	უეფას დაფინანსება	სულ
1	**საწყისი ნაშთი**	**7,786**	-	-	**7,786**
	შემოსული თანხები				
2	საფეხბურთო კლუბის დაფინანსება	-	167,276	96,761	264,037
3	შემოწირულობა	111,500	-	-	111,500
4	სარეკლამო შემოსავალი	50,000	-	-	50,000
5	**პერიოდის განმავლობაში შემოსული თანხები** *(ჯამი: 2-4)*	**161,500**	**167,276**	**96,761**	**425,537**
6	**სულ შემოსული თანხები** *(ჯამი: 1, 5)*	**169,286**	**167,276**	**96,761**	**433,323**
	გახარჯული თანხები				
7	შრომის ანაზღაურება	(89,108)	(90,232)	(69,886)	(249,226)
8	ფედერაციის და ლიცენზირების ხარჯი	(1,000)	(30,000)	(14,550)	(45,550)
9	მივლინება-შეკრება (ქვეყნის შიგნით)	-	(17,862)	-	(17,862)
10	მატჩის ორგანიზების ხარჯი	(1,056)	(5,608)	-	(6,664)
11	ეკიპირება, ბრენდირება	(53,557)	-	-	(53,557)
12	სამედიცინო ხარჯი	(593)	(17,103)	(10,440)	(28,136)
13	აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(250)	(6,000)	-	(6,250)
14	სატრანსფერო ხარჯები	(10,000)	-	-	(10,000)
15	სხვა ხარჯი	(68)	(127)	(69)	(264)
16	**სულ გახარჯული თანხები** *(ჯამი: 7-15)*	**(155,632)**	**(166,932)**	**(94,945)**	**(417,509)**
17	საკურსო სხვაობა	-	-	(1,816)	(1,816)
18	ჯარიმა	(1,964)	-	-	(1,964)
19	საწყისი ნაშთიდან გაწეული ხარჯები	(7,786)	-	-	(7,786)
20	**საბოლოო ნაშთი** *(ჯამი: 6, 16, 17-19)*	**3,904**	**344**	**-**	**4,248**

DRAFT

შპს საფეხბურთო კლუბი ბათუმი
დირექტორი: დავით დოლიძე

30-Sep-26

*** * * დოკუმენტის დასასრული * * ***